

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

პაატა ახალაძის 2019 წლის ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო (2017–2021)

საკრებულოს წევრები სულ 34

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 26-1=25,

ნაციონალური მოძრაობა – 5

ევროპული საქართველო – 3

აქედან – კაცი 28, ქალი 5

5 კომისია: 1. იურიდიულ საკითხთა კომისია

2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია

5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

აქედან – კაცი 4, ქალი 1

7 ფრაქცია: 1. “ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო”

2. “ქართული ოცნება–კონსერვატორები”

3. “ქართული ოცნება–მრეწველები”

4. “ქართული ოცნება–მწვანეები”

5. “ევროპული საქართველო”

6. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”

7. „წყალტუბოს განვითარებისათვის“

აქედან – კაცი 5, ქალი - 2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018–2019 წ.წ საკრებულოს მიერ მიღებულია: 144 განკარგულება, 36 დადგენილება

სულ ჩატარებულია 23 სხდომა, აქედან 10 რიგითი და 13 რიგგარეშე

საკრებულოს მიერ ინიცირებული საკითხები: “სამოქალაქო ბიუჯეტირება”–პროექტის მიზანი მოქალაქეების ჩართვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში, რაც დემოკრატიული

პროცესებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2020 წლისთვის შემოტანილია 27 პროექტი აქედან 26 იქნა დაფინანსებული. 2020 წლის „სამოქალაქო ბიუჯეტირების“ პროექტის ბიუჯეტი 240 000 ლარის ოდენობით იქნა გაზრდილი, თუ 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 150 000 ლარს 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 390 000ლარს. ქალაქი დაყოფილია 3 ზონად I ზონა - 12 პროექტი, II ზონა - 6 პროექტი, III ზონა - 8 პროექტი.

წყალტუბოს ინფრასტრუქტურის, საგზაო უსაფრთხოებისა და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის ჯგუფი

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმა (20/07/2018)

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის 2019–2020–2021წლების სამოქმედო გეგმა(28/09/2018) სადაც საუბარია წყალტუბოს საკონცერტო დარბაზი „ივერიის“ სრულ რეაბილიტაციაზე ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიონის“ სარეპეტიციო შენობის სრული რეაბილიტაცია,ეს შენობები გადაეცა იუსტიციის სამინისტროს. წყალტუბოს სოფლებში მიმდინარეობს კულტურის ცენტრებისა და ბიბლიოთეკების მოწესრიგება და რემონტი, ნიკო ლორთქიფანიძისა და გიორგი ახვლედიანის სახლ–მუზეუმის კაპიტალურ რემონტზე და მთლიან რეაბილიტაციაზე. ამ ეტაპზე ნიკო ლორთქიფანიძის სახლ–მუზეუმი რეაბილიტირებულია, რაც შეეხება გიორგი ახვლედიანის სახლ–მუზეუმს კი მოხდება გამაგრებითი სამუშაოების შესრულება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

საკრებულოს მიერ განხილული და მოწონებული იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

ინფრასტრუქტურული პროექტები

2019 წლის I და II კვარტლში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულების 114 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლებიც რე ფონდის,

ადგილობრივი ბიუჯეტის და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა.

რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის 5% - იანი თანამონაწილეობით დაფინანსდა 14 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, სამუშაოების ჯამური ღირებულება 4 997 379 ლარია. საანგარიშო პერიოდში დასრულდა სამუშაოები 6 მისამართზე, მათ შორის: რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ ჩუნეში ნ. ლორქიფანიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელ გზას, რომელზეც მოეწყო ბეტონის საფარი (ღირებულებით 648649 ლ); დასრულდა სოფლების ოფშკვითისა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის (მე-2 ეტაპი) რეაბილიტაცია (ღირებულებით 501914ლ) სორმონისა და ჭოლევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ღირებულებით 410875ლ), სოფელ მაღლაკში ჟორჟოლიანების (ღირებულებით 470129 ლ) და სოფელ ფარცხანაყანევი რეხის ტყის უბანში (ღირებულებით 296530 ლ), სოფელ ოფურჩხეთში აბაზაძეების და სოფელ ხომულში დუქნის წყაროს უბანში ბეტონის საფარის მოწყობის, ქალაქ წყალტუბოში გურამიშვილის ქუჩის N 2-ში, დედაენის ქუჩის N1-ში და ბესიკის ქუჩის N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში გზების რეაბილიტაციის (ღირებულებით 484 000 ლ) სამუშაოები.

სულ 1 ოქტომბრის მონაცემებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული 19 ინფრასტრუქტურული პროექტიდან დასრულებულია 15, სამუშაოები მიმდინარეობს 4 მისამართზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 52 პროექტი - მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში , თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი თანხებით სხვადასხვა მისამართზე მოეწყო გარე განათებები, შექმნილია მზა ბეტონი, რომლითაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამავალ შიდა სასოფლო გზებს. სულ ამ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად 704 000 ლარი იყო გამოყოფილი. ამ ეტაპზე 48 მისამართზე სამუშაოები დასრულებულია.

2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 33 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 4 მლნ ლარს. განხორციელებული პროექტები

მიმართულებების მიხედვით მოიცავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების, დასახლებული უბნების, საცხოვრებელ კორპუსებამდე მისასვლელი გზების, სანიაღვრე არხების, მგზავრთა მოსაცდელების, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების, სასმელი წყლის და გარე განათების სისტემების მშენებლობის/რეაბილიტაცია/ სამუშაოებს.

2019 წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და მისი შემოგარენის რეაბილიტაციისა და გალამაზების მიმართულებით, მიმდინარე წელს ბიუჯეტში ჩადებული იყო 10 000 ლარი, რომლის მიზნობრიობაც შეადგენს წყალტუბოს ცენტრალური პარკის სივრცითი მოწყობისა და განვითარების კონცეფციის შემუშავებას.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი და მთავარი საზრუნავია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისათვის 2019 წელს გამოიყო 993. 0 ათ. ლარი. წინა წელთან შედარებით თანხა გაზრდილი იქნა 113. ათ. ლარით. 4 პროგრამა ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ დაემატა ესენია:

1. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების დახმარება წელიწადში 200 ლარის ოდენობით.
2. ფსორიაზით დაავადებული პირებისთვის ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხებული ახალგაზრდების საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში (18-21 წელი), ოჯახური ძალადობის სტატუსის მქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. წელიწადში 1800 ლარი.
4. მარჩენალდაკარგული, უგზოუკვლოდ დაკარგული და ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი მშობლების სტუდენტი შვილებისთვის სწავლის საფასურის 50 %-იანი დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა.

2019 სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამებს ასევე დაემატა ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპიის კურსების თანადაფინანსების პროგრამები. თანხა 200 ლარიდან 300 ლარამდე გაეზარდათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს. 200 -დან 250 ლარამდე გაეზარდათ თანხა მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არიან 65000-დან 100 001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობენ საარსებო შემწეობას. 1000-დან 1500- ლარამდე გაეზარდათ თანხა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს

დალუპული პირების ოჯახის წევრებს, ასევე 120 ლარიდან 150 ლარამდე გაეზარდათ ყოველთვიური ბინის ქირის გადასახდელი თანხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლი დაენგრათ დაეწვათ ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გაუხდათ და ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს, (გვყავს ერთი ბენეფიციარი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდებს.

დიდი სამამულო ომის 8 მონაწილემ და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 53-მა ბავშვმა და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 30-მა პირმა დახმარების სახით მიიღო 300 ლარი.თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულმა 32 -მა პირმა დახმარების სახით მიიღო 1800 ლარი. 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დალუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის ოთხმა ოჯახის წევრმა 1500 ლარი.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 23-მა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე 267-მა და სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლმა 38-მა პირმა დახმარების სახით მიიღო 200 ლარი.

ცერებრალური დამბლით დაავადებულმა 130-მა პირმა, დედმამით ობოლმა 2-მა ფენიკელტონურიით დაავადებულმა 5-მა და ონკოლოგიური დაავადების მქონე 2-მა ბავშვმა დახმარების სახით მიიღო 500 ლარი

სააღდგომოდ დაახლოებით 50 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები მიიღეს საჩუქრად მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლმა ბავშვებმა, 100 წელს გადაცილებულმა პირებმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა.

თანხა 80000 -დან 100000 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისების მუხლში.

2019-2020 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ 20-მა ბენეფიციარმა ბავშვმა დახმარების სახით მიიღო 100 ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით ა(ა)იპ სათნოების სახლისა (სადაც თითქმის ყოველ წელს ვზრდით ბენეფიციართა რაოდენობას ამ ეტაპზე 190) და ა(ა)იპ ინკლუზიური ცენტრის გამართულ ფუნქციონირებას.

მუნიციპალიტეტის 6 სოფელში გაკეთდა ამბულატორია: დღნორისა, მექვენა, ოფშკვითი, მუხიანი, ფარცხანაყანევი და მაღლაკი.

განათლება

ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა პროექტი საპენსიო ასაკის პედაგოგებთან დაკავშირებით. ქვეყნის მასშტაბით საპენსიო ასაკის 6300 პედაგოგი წავიდა სკოლიდან ფულადი ჯილდოს სანაცვლოდ მთლიანად გაცემულია 90მლ. ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 150 მასწავლებელმა ისარგებლა განათლების სამინისტროს შეთავაზებით 2 წლის ხელფასი ჯილდოს სახით და სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელობის დაზღვევა - 1მლ.20 000 ლარი. იწყება მასწავლებლების ხელფასების ზრდა 100-დან 150 ლარის ოდენობით

ქვეყნის მასშტაბით გარემონტდა 640 სკოლა. ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იყო 20 000 000ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეაბილიტაცია გაუკეთდა 15 სკოლას და აშენდება 2 სკოლა სოფ. ჩუნეში და სოფ. გეგუთი. (ღირებულება ორივესი 8 მლ. ლარამდე)

ყოფილი სამხედრო სანატორიუმის მიმდებარე ტერიტორია გადაეცა განათლების სამინისტროს პროფესიული სასწავლებლის აშენების მიზნით, ამ ეტაპზე შენობის მაკეტი მზად არის, შედგება ტენდერი და უახლოეს მომავალში დაიწყება მშენებლობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

2015 წლის 25 დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შექმნილია ეს საბჭო.

2018 წელს „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში გამართული საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნული კონფერენცია საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელების კუთხით ჩატარებული მნიშვნელოვანი პროექტების თუ პროგრამების, კარგი მაგალითების გაცნობას, გაზიარებასა და წახალისებას ისახავს მიზნად. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ორ ნომინაციაშია გამარჯვებული. მოსახლეობის ჩართულობა და გენდერული თანასწორობის თემატიკა. დაჯილდოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის (ათეა) მიერ.

2019 წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, „ქალთა ასოციაცია“ და „თანხმობა“ თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები: „ოჯახური ძალადობა“, „გენდერული თანასწორობა“ და „ბულინგი“ და სხვა

2019 წლის 7 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის თანამშრომლებმა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან შეხვედრა გამართა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში“.

2019 წლის 25 ივლისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით ჩატარდა მრგვალი მაგიდა სახელისუფლო სტრუქტურებისა და სოციალური ინსტიტუტების წარმომადგენელთა (პოლიცია, ჯანდაცვა, საჯარო მოხელეები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები,) მონაწილეობით თემაზე : “ძალადობის პრევენცია და ძალადობის მსხვერპლის დაცვა (სოციალური თანამშრომლობა და რეფერირება)

2019 წლის 18 ივლისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში"

ვთანამშრომლობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოსთან და იმერეთის რეგიონის წყალტუბოს პრობაციის ფილიალთან(ტრენინგი პრობაციონერებთან ძალადობა)

2019 წლის 7 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სამი მუნიციპალიტეტის წყალტუბოს, ზუგდიდისა და წალენჯიხის რეზოლუცია 1325-ის სამუშაო ჯგუფის წევრთა შეხვედრა, სადაც მოხდა გაეროს რეზოლუცია 1325-ის იმპლემენტაციის ადგილობრივი „საგზაო რუკის“ და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე გამოცდილების გაზიარება.

2019 წლის 4 ივნისს იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ მოაწყო შეხვედრა უკრაინელებთან (ლუგანსკი,ზაპაროჟია,), სადაც მოხდა გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით: ინფრასტრუქტურული საკითხები, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, გენდერული თანასწორობა და სხვა

საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას.

ა(ა)იპ წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი

მოეწყო სხვადასხვა გამოფენები, ინფო-ტურები, ტრენინგ-ღონისძიებები და კონფერენციები, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე მის საზღვრების ფარგლებს გარეთ.

გამოფენები: ლატვიის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე "Balttour 2019" ქალაქი რიგა, ყაზახეთში ქალაქ ალმაატაში KITF მე-19-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა, მონაწილეობა მივიღეთ თბილისის ტურისტულ გამოფენაზე, სადაც მე-6 წყაროსთან ერთად წარდგენილი

ვიყავით ჩვენი სტენდით და ბათუმში გამართულ მე-12-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე.

ინფო-ტურები: ვუმასპინძლეთ ამერიკელ ჟურნალისტს ბრეანა ვილსონს, რომელმაც მოინახულა კურორტის ბალნეოლოგიური ცენტრები. ჟურნალისტმა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ და მათ შორის წყალტუბოს შესახებ დაწერა ჟურნალ „ფორბ“-ში სტატია. ტურისტული პოტენციალის გაცნობის მიზნით სტუმრად იმყოფებოდნენ ყირგიზეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. ინფო-ტურს კურგანიდან და უკრაინიდან, ტურისტულ სააგენტოებს თურქმენეთიდან (აშხაბადი). ვუმასპინძლეთ პრესს - ტურს სამხრეთ კორეიდან სამაუწყებლო კომპანიის პოპულარული გადაცემის გადამღები ჯგუფის მონაწილეობით. გადაცემაში აქცენტი გაკეთდება როგორც ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე ისე ბალნეოლოგიურ კურორტზე, ქართულ სამხარეულოსა და ღვინოზე. 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ჩვენმა ცენტრმა უმასპინძლა წყალტუბოს არქიტექტურით დაინტერესებულ 13 უცხოელ ურბანისტ/ფოტოგრაფს. ქვეყნები: ბელგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია. აქტიურად იწერება სხვადასხვა სტატიები წყალტუბოს შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში:

2019 წლის იანვრის ნომერში სანქტ-პეტერბურგის რუსულ ჟურნალ „ფილოსოფია ოტდიხა“-ში გამოქვეყნდა სტატია წყალტუბოს, როგორც ბალნეოლოგიური კურორტის შესახებ.

17 ივნისს „ჯორჯიან ბასი“-ს საბორტო ჟურნალში დაიბეჭდა სტატია წყალტუბოს შესახებ, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი. ჟურნალი 3 თვის განმავლობაში იქნება განთავსებული ჯორჯიან ბასის ავტობუსებში, შემდეგი მიმართულებებით: მესტია, გუდაური, ბათუმი, თბილისი.

11-15 ივლისს შეიქმნა საიმიჯო ვიდეო რგოლი წყალტუბოს შესახებ.

სექტემბერში ბრიტანელი ჟურნალისტის ჰელენ მოუტის მიერ ბრიტანულ სამოგზაურო საიტზე და პორტალზე დაიწერა სტატია წყალტუბოს შესახებ. <https://www.wanderlust.co.uk/content/things-to-do-in-western-georgia/>

ტურიზმის განვითარების ცენტრს 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე ესტუმრა 700 ვიზიტორი.

1. გერმანია 2. ნიდერლანდები 3. ბელგია 4. იტალია 5. ესპანეთი

მოსახლეობასთან შეხვედრები

2019 წლის განმავლობაში წყალტუბოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატის, მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს დეპუტატებთან ერთად ხდებოდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის მამტაბით, როგორც ქალაქის ასევე სოფლის მოსახლეობასთან.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა „ღია დიალოგი მოსახლეობასთან“, რომლის ფარგლებში წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ბატონი ზვიად შალამბერიძე, ჩემთან და მერ გრიგოლ იოსელიანთან, ასევე პარლამენტის წევრ ლადო კახაძესთან ერთად შევხვდით მოსახლეობას. სოფლების: ჯიმასტაროს,

ოფურჩხეთის, გუმათის, ჟონეთის, ნამოხვანის, ქვიტირის, მესხეთისა და მუხიანის მცხოვრებლებს. მათთან ერთად განვიხილეთ მითითებული სოფლების პრობლემები, კერძოდ: ხიდის გაკეთება, სასმელი წყლის მოწესრიგება, გაზიფიცირება და საბავშვო ბაღის შენობის გაფართოება.

იგივე შემადგენლობით შევხვდით მაღალმთიანი სოფლების: მექვენა, ვანისჭალა, დერჩის მცხოვრებლებს და განვიხილეთ მათი პრობლემები, ძირითადი პრობლემები ამ თემში არის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შეშის მოპოვება და სოციალურად დაუცველი სტატუსის მინიჭება.

ცხუნკურის, ყუმისთავის, ჩუნემის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ძირითადი პრობლემებიდან გამოიკვეთა შემდეგი: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გაზიფიცირება, შეშის მოპოვება, სასმელი წყლის ქსელის მოწესრიგება.

მოსახლეობასთან ერთად შევხვდით არასამთავრობო ორგანიზაცია PIN ,რომელიც 4 წლის განმავლობაში იმუშავებს წყალტუბოში და განახორციელებს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სოფლის განვითარების პროექტს ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ორგანიზაციამ შექმნა „წყალტუბოს განვითარების ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული არიან როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლები (მერია და საკრებულო) ასევე ადგილობრივი მოსახლეობა (ქალაქი და სოფელი)

მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები

ტრადიციულად 5 წელია საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ლოცვა კურთხევითა და საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ პაატა ახალაძის ინიციატივით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მივდივართ მახათას მთაზე მოსალოცდ და ვრგავთ ხეებს.

14 მაისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, თამარის ციხეზე, ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თამარობა“ კულტურული და სპორტული ღონისძიებით აღინიშნა, რომელსაც მაჟორიტარ დეპუტატ ცოტნე ზურაბიანთან, მერ გრიგოლ იოსელიანთან და საკრებულოს სხვა თანამდებობის პირებთან ერთად დავესწარი და ადგილობრივ მოსახლეობას მივულოცეთ მითითებული დღესასწაული.

20 მაისს შეხვედრა გავმართე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქის სკოლის პედაგოგებთან, ხოლო 21 მაისს მონაწილეობა მივიღე სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების დიალოგის IV ფორუმში. 22 მაისს შეხვედრა მქონდა ბიზნესმენებთან, რომელთაც გავაცანი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის კუთხით.

ამავე დღეს დავესწარი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოტია იოსელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლაში მოწყობილ ღია კარის დღეს, რომელსაც ადგილობრივ თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან ერთად საპატიო სტუმრების რანგში ესწრებოდნენ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში, საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით, სხვადასხვა

მუნიციპალიტეტებიდან წარმატებული სკოლის დირექტორები, პედაგოგები, ლექტორები, ასევე მასწავლებლის გლობალური ჯილდოს ფინალისტი, ჩიბათის საჯარო სკოლის პედაგოგი ლადო აფხაზავა.

9 ივნისს წყალტუბოში პირველად გაიმართა „ევროპის დღე – 2019“, რომელიც მრავალფეროვანი აქტივობებით იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას ადგილობრივ მოსახლეობასა და თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან ერთად მრავალი სტუმარი ესწრებოდა. საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცერმა, ჩვენმა წყალტუბოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ცოტნე ზურაბიანმა, პარლამენტარმა დიმიტრი მხეიძემ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ იოსებ ხახალეიშვილმა, მე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გრიგოლ იოსელიანმა. „ევროპის დღე – 2019“ გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც ცნობილი მომღერლები მონაწილეობდნენ.

4 ივლისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში ვუმასპინძლეთ ველიკოპოლსკას რეგიონული პარლამენტის (სეიმეკის) დელეგაციას. მათ წარვუდგინეთ პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა ინფორმაციებს სამკურნალო წყლების, მღვიმეების, დამსვენებლებისა და ვიზიტორების რაოდენობის, წყალტუბოს ისტორიისა და ტურისტული პოტენციალის შესახებ. განვიხილეთ მომავალი თანამშრომლობის გეგმები.

13 ივლისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა „იმერეთის აგრო-ტურისტული“ ფესტივალი, რომელსაც ვესწრებოდით ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირები, მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ადგილობრივი წარმოების პროდუქციის (ღვინო, თაფლი, ჩაი, ბოსტნეული და ა.შ.) გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის რეგიონის 120-მდე ფერმერმა, მეწარმემ და კოოპერატივის წარმომადგენლებმა.

2 აგვისტოს მონაწილეობა მივიღეთ სახალხო დრესასწაულში ელიაობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება სოფელ მალლაკში.

16 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. აქედან გამომდინარე მე, მაჟორიტარ დეპუტატ ცოტნე ზურაბიანთან და საკრებულოს წევრებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცე ქალაქის საჯარო სკოლებს, ასევე ვიმყოფებოდი სოფელ ოფურჩხეთში, სადაც პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის მილოცვის შემდეგ შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საკითხების განხილვის მიზნით.

27 სექტემბერს დილით მუზეუმთან , აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების მემორიალთან სხვა ადგილობრივ პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან ერთად პატივი მივაგე აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების ხსოვნას.

28–29 სექტემბერს გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო“, რომელიც მამუბურად აღინიშნა. დღესასწაულს საქართველოს ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ალავიძე, პრემიერ–მინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი ცოტნე ზურაბიანი, მერი, დამეგობრებული ქალაქის დელეგაციების წარმომადგენლები და სხვა ადგილობრივი თანამდებობის პირები ვესწრებოდით. დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები. სახალხო დღესასწაულზე საზეიმოდ გაიხსნა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარი, სადაც წირვა–ლოცვა ქუთაის–გაენათის ეპარქიის დროებითმა მმართველმა რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელმა) აღავლინა. ცენტრალურ პარკში ჩატარდა განახლებული შადრევნის გახსნის ცერემონია, ქალაქის ცენტრში კიდევ ერთი ახალი რესტორანი „მაგნოლია“ გაიხსნა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრები, კულტურული ღონისძიებები, თეატრალიზებული წარმოდგენები, დაჯილდოვდნენ ხატვის, ლიტერატურისა და ფოტოკონკურსის გამარჯვებულები, ასევე საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ წყალტუბოს ღვაწლმოსილ მოქალაქეებს, სპორტსმენებს იაკობ ქაჯაიასა და ირმა ხეცურიანს, კინორეჟისორ ოთარ იოსელიანს და პრემიერმინისტრის მრჩეველს სოზარ სუბარს. „შემოდგომის წყალტუბო 2019“ გალა–კონცერტით დაიხურა.

23 ოქტომბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ურთიერთთანამშრომლობის მიზნით ხელი მოაწერა რეფერენდუმს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან. მემორანდუმის მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება, გამოცდილების გაზიარებით, ერთმანეთთან კოორდინაციით, ერთმანეთის რესურსების გაცვლითა და ხელშეწყობით საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

